ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31261131**
თარიღი: **23/04/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გიგზავნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის (შესახვევებისათვის) სახელის მინიჭების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტსა და ორთოფოტოს, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

დამატებით გაცნობებთ, რომ გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2026 წლის აპრილი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის (შესახვევებისათვის) სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებულ უსახელო გეოგრაფიული ობიექტს (შესახვევს) ეწოდოს საფო მგელაძის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად, კერძოდ:

ა) საფო მგელაძის I შესახვევი
ბ) საფო მგელაძის II შესახვევი
გ) საფო მგელაძის III შესახვევი

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

„იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის

სხდომის ოქმი N14

ქ. ლანჩხუთი

17.12.2025 წელი
12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე, **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ია მოქია, დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, ტატო ურუშაძე, თენგიზ ურუშაძე, მაია ლომთაძე, ივანე ებრალიძე და ირაკლი ცინცაძე.

არ ესწრებოდა - გოჩა ჯანაშია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი - **თამარ ფირცხალაიშვილი,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში **რუსუდან გვარჯალაძე** და საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე /

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების

მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე, როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის (შესახვევებისათვის) სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე /

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისში აღნიშნა, რომ მეოთხე წელია რაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებისა და შესაბამისი კანონების საფუძველზე 10%-ით იზრდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ**. მან განმარტა, რომ აღნიშნულ დადგენილებაში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემუ რი მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო."

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2

დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს" დებულება დანართი №1-ის შესაბამისად."

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 10; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში" შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში 1028,50 ლარი. "

გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნეს დეკემბრის თვის ბოლომდე.

კომისიის წევრები ძირითადად დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას. სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 10; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი არის დეფიციტური, შემოსავლები განსაზღვრულია 21956000 ლარით, გადასახადები განსაზღვრულია 18258000 ლარით, გრანტები-486000 ლარით, სხვა შემოსავლები-3212000 ლარით, ხარჯები-23665100 ლარით ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება - 3746800 ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3846800 ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 100000 ლარით, ბიუჯეტის მთლიანი სალდო გ -5455900 ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1709100 ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილება-5485000 ლარით. ფინანსური აქტივების კლება 5485000 ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2026 წლის განმავლობაში. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 29000 ლარს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 4599000 ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 3275000 ლარი; განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5560000 ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5525300 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 1855000 ლარი.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია მოხარულია, რომ ფრაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნების უმეტესობა გათვალისწინებული იქნა, კერძოდ, 18 წლამდე ასაკის ბავშვების ოპერაციის თანხა ფინანსდება, მოიხსნა სარეიტინგო ქულა.

ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარემ დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ მათი ფრაქციის მიერ მოთხოვნილი იქნა ნაგვის მოსაკრებლის გადახდა მოსახლეობის მიერ. ასევე სკვერების მოწყობის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის გიორგი ხელაძის თქმით კარგი იქნებოდა ბიუჯეტში თანხის გარკვეული ნაწილი მაინც რომ გამოყოფილიყო საკოლმეურნეო ბაზრისა და ავტოსადგურის მოსაწყობად, რაც დადებითი ფაქტი იქნებოდა. ეს ყველაფერი განმუხტავდა გარე ვაჭრობას.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

მომხრე 10; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტებისთვის (შესახვევებისათვის) სახელის მინიჭების შესახებ ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ კომისიის წევრები ადგილზე იყვნენ გასულები, განმცხადებელთან -ირაკლი ორაგველიძესთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად. აღნიშნა, რომ დაათვალიერეს არსებული მიდამო. გადაწყდა, რომ საფო მგელაძის ქუჩაზე - შეიქმნას სამი შესახვევი (ორთოფოტო თან ერთვის). კომისიის გადაწყვეტილებით დაიწყება პროცედურები საკითხის მოგვარების მიზნით.

აზრი გამოთქვეს: ივანე ებრალიძემ, ია მოქიამ და სხვებმა - კომისიის თავმჯდომარის წინადადებას დაუჭირეს მხარი, რომ შეიქმნას საფო მგელაძის ქუჩის I, II და 3 შესახვევი.

კომისიის წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე **/გიორგი ხელაძე/**

რეგიონული განვითარების სამინისტრო

ვახტანგ გორგასლის ქუჩა N10
0114, თბილისი, საქართველო
+995 32 237 00 70
info@mrd.gov.ge

14/04/2026

MRD N 01/1797

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისათვის თქვენ მიერ წარმოდგენილი წერილის N31-31253539, თარიღი: 19.12.2025 (სამინისტროში რეგისტრაციის N4940/01, 19.12.2025) პასუხად, რომელიც ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების საკითხს, გიგზავნით ზემოთ ხსენებული სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებას.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

ზურაბ იაშვილი

მინისტრის მოადგილე

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის
ოქმი N51-დან ამონაწერი

ქ. თბილისი 31 მარტი 2026 წელი

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 23 ივნისის N300 დადგენილების შესაბამისად, ელექტრონული ფორმით ჩატარებულ კომისიის სხდომაზე მონაწილეობდნენ: ზურაბ იაშვილი, ნიკოლოზ როსებაშვილი, გიორგი დიდიძე, გიორგი ალიბეგაშვილი, ალექსანდრე არაბული, თათია ბარაქაძე, თამარ მორბედაძე, მერაბ გონგაძე, ვაჟა კიკნაძე, თეა ტეტელოშვილი, ეკა ყიფიანი, მარიკა აბულაძე, ნინო ბახია. კომისიის 15 წევრიდან ესწრებოდა 13. სხდომა უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილებები.

სხდომის თავმჯდომარე: ზურაბ იაშვილი
სხდომის მდივანი: თამარ მორბედაძე

საკითხი N7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებულ უსახელო გეოგრაფიული ობიექტს (შესახვევს) ეწოდოს საფო მგელაძის სახელი კერძოდ: ა) საფო მგელაძის I შესახვევი; ბ) საფო მგელაძის II შესახვევი; გ) საფო მგელაძის III შესახვევი.

განმარტებითი ანოტაცია: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებულ უსახელო გეოგრაფიული ობიექტს (შესახვევს) ეწოდოს საფო მგელაძის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად, კერძოდ:
ა) საფო მგელაძის I შესახვევი
ბ) საფო მგელაძის II შესახვევი
გ) საფო მგელაძის III შესახვევი

წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია.

მოსაზრება დააფიქსირეს: ზურაბ იაშვილმა, ნიკოლოზ როსებაშვილმა, ალექსანდრე არაბულმა, გიორგი დიდიძემ, თათია ბარაქაძემ, გიორგი ალიბეგაშვილმა, თამარ მორბედაძემ, ვაჟა კიკნაძემ, მერაბ გონგაძემ, თეა ტეტელოშვილმა, მარიკა აბულაძემ, ეკა ყიფიანმა, ნინო ბახიამ.

რეკომენდაცია: თანხმობა იმ დათქმით, რომ მუნიციპალიტეტი განკარგულების გამოცემისას განკარგულებას თან დაურთავს შესაბამის სიტუაციურ რუკას ახლად სახელდებული გეოგრაფიული ობიექტების ორთოფოტო გეგმაზე მონიშვნას.

დაადგინეს: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მდებარე საფო მგელაძის ქუჩაზე მიერთებულ უსახელო გეოგრაფიული ობიექტს (შესახვევს) ეწოდოს საფო მგელაძის სახელი კერძოდ: ა) საფო მგელაძის I შესახვევი; ბ) საფო მგელაძის II შესახვევი; გ) საფო მგელაძის III შესახვევი.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე - 12. წინააღმდეგი - 1.

ამონაწერის სისწორეს დედანთან ვადასტურებ,

კომისიის მდივანი **თამარ მორბედაძე**

27:06:50:242
27:06:50:267
27:06:50:148
27:06:50:332
27:06:50:022
.50:249
NAPR
27:06:50:095
27:06:50:245
27:06:50:199
27:06:50:312
27:06:50:243
27:06:50:338
27:06:50:233
27:06:50:241
27:06:50:247
27:06:50:067
27:06:50:068
27:06:50:254
27:06:50:167
6:50:299
27:06:50:251
27:06:50:189
27:06:50:216
27:06:50:024
66
27:06:50:331
27:06:50:011
27:06:50:035
53
27:06:50:025
27:06:55:008

27:06:50:243
27:06:50:267
27:06:50:148
27:06:50:332
27:06:50:022
.50:249
NAPR
27:06:50:095
27:06:50:245
27:06:50:199
27:06:50:312
27:06:50:338
27:06:50:233
27:06:50:241
27:06:50:247
27:06:50:067
27:06:50:068
27:06:50:254
27:06:50:167
27:06:50:251
27:06:50:189
27:06:50:216
27:06:50:024
66
27:06:50:331
53
27:06:50:011
27:06:50:035
53
66
27:06:50:025
27:06:55:008